ISSN 0132-6015

ბიბინა

16

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1554) აგვისტო 1979, ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ჯერ სადა ხარ!.. სეზონის ბოლოს მთელ ბანაკს გადაიწონის!

გლეხის გლახობა სად თქმულა?!

(გაზარი)

არც მოთმინება მეყო და
ვერცა გულს ბოღმა ჩავკალი!..
დაჰკარ შენ, ჩემო სამრეკლოვ, —
რაც შეგიძლია, დაჰკარი!
გულში რა ცრემლიც დანთქმულა,
მთელ საქართველოს ეყოფა!
გლეხის გლახობა სად თქმულა?! —
გლეხისა თქმულა გლეხობა!
იმისი ყანის შრიალი
სიკვდილშიც მომელანდება!..
დღე თენდებოდა მზიანი,
გლეხი რომ გედგა თავდებად!
ახლა ის გლეხი სადღაა?!
რა ბოროტებამ დაჯაბნა?!
გლეხი ქალაქით დამფრთხალა, —
სხვა ჰყიდის იმის ნაჯაფარს!..
სხვამ სხვის წისქვილზე ჩამოფქვა,
სხვამ დარდი სულ სხვას გაანდო!..
აბა, სხვამ გლეხის ნაოფლარს
რა ფასი უნდა დაადოს?!
არცა ამ სიტყვის შემრცხვება —
მოდგა ქურდი და მპარავი!
მამასისხლად რომ გვექცევა,
არა, ის გლეხი არ არის!

„პირადი ავტორიტეტი“

— როგორ არის საქმეები?!
— ყველაფერი რიგზეა! —
გვირტყამენ და ჩვენც ვპასუხობთ
ისე, როგორც რინგზეა.
—შუშა?!
— შუშა კარგად ცხოვრობს,
სასმელი და საჭმელი
ყელამდე აქვს.
ჰო, ისიც აქვს,
რა ჰქვია? ტანსაცმელი!
— კრება?!
— კრება ჩავატარეთ,
„უნიტაზზეც“ „ბიდეზეც“!
ისიც ოქმში გავატარეთ, —
„პირად ავტორიტეტზე“
თქვენ რომ ბრძანეთ,
იმ თათბირზე,
ა, ის რომ ესწრებოდა,
გახსოვთ? მერაბ თარიანის
საკითხი რომ წყდებოდა?!.
— მდაა, კარგია!
კვარტლის გეგმა?!
— გეგმა, ეგ არაფერი!
დირექტორად კაცი მიზის,—
ჩიტს დაიჭერს გაფრენილს!
ცოტა აქეთ, ცოტა იქით!
მოკლედ, არ გაჭირდება!
ახლა თქვენი მფარველობის
ხელი მაგრა გვჭირდება!
ამ კვარტალში ბაჩანოვიჩ,
პრემიასაც დავირტყამთ!
ერთი კია: მოადგილე!..
მოადგილე მკვდარი მყავს!
—ხელსაც გიწვდით,
გულსაც გიწვდით,
ფიანდაზად გეგებით!
მოადგილე მე არ ვიცი,
მთავარია გეგმები!
დაიხსომეთ! ჩაიწერეთ
ყველამ გულის ტიტრებზე:
„ფიქრი, ფიქრი, მხოლოდ ფიქრი
პირად ავტორიტეტზე!“

●

ესა თქვა და გამოეყვნენ
ერთურთს „ვოლგის“ ტირეთი —
და „ვოლგასთან“ ერთად გაქრა
ორი „ავტორიტეტი“!..



სატირული

კრება ფორმალიზმის წინააღმდეგ

ხვალ ვიწვევთ კრებას! —
ფორმალიზმი უნდა დავმარხოთ!
საბედნიეროდ (არ დავმალავ!),
გვაქვს სატრაბახო!

მე გავხსნი კრებას,
ოქვენ გამოხვალთ, თამაზ კრებაზე,
ილაპარაკებთ
ჩვენი ქარხნის წარმატებაზე!

ჩვენს სახელოვან საქმეებზე
ილაპარაკებთ!
იტყვით, რომ პრესა
ჩვენს მიღწევებს ხშირად არ აქებს!

თუ ქვეყანაზე
გავჩენილვართ შრომის გმირებად, —
წახალისებას უნდა სდევდეს
სტიმულირება!

მიმდინარესთან
იტყვით, ალბათ, პერსპექტიულსაც!
ნუ გამოტოვებთ, —
ადგილკომსაც მისი მივუზღათ!

ტაშის გრიალში დამთავრდება
თქვენი გამოსვლა!
დანარჩენებიც
საქებს ვიტყვით და საამოსა!

ამას, ყველაფერს,
ჩვენი რიმა ოქმში შეიტანს,
ოქმში, რომელიც,
სადაც ჯერ არს, წავა ფრენითა!

ხვალ ვიწვევთ კრებას! —
ფორმალიზმი უნდა დავმარხოთ,
საბედნიეროდ, — არ დავმალავ! —
გვაქვს სატრაბახო!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ლირიკა

მხატვარი ზურაბ ფოლრჩხიძე

სულხან-საბას მიხედვით

ვითარცა გახრწნა მძორთა —
გესლი გველთა და მძრომთა!..
არ ეკადრება ქართველს —
დარბაისელს და დამთმენს!
არ ეკადრება რაინდს,
რაც ეკადრება ცვედანს!
„შური არს მწუხარება
სხვისა კეთილსა ზედა“.
არ არის საკადრისი
შენი ჯიშის და გენის, —
სხვისი შეწირულ სისხლითი
იდგე ორმოში ქერის!
ჭეშმარიტების ანბანს
აქვს დედამიწის წონა!
როგორც განმარტავს საბა —
„შულლი — სიტყუით ბრძოლა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა



— შენი იღბალი, ჩვენ დაგეჯახებთ! სხვა რომ ყოფილიყო, ასე მალე დაგეხმარებოდა?!

კაფე-კაფე

ხმა გავარდა, თბილისში ოთხი საბავშვო კაფე გაიხსნაო. ბავშვები შინ საჭმელს აღარ ჭამენ, მთელი ღამე ტირიან, მშობლებს ეხვეწებიან, დილით კაფეში გვასაუზმეო. მივიკითხ-მოვიკითხეთ, მისამართები დავადგინეთ, ბავშვებს ხელი ჩავკიდეთ და გზას გავუდექით. აქ ხომ ძველი თბილისის ლუდის დარბაზი იყო? დიახ, მაგრამ „წიქარას“ ვაჟკაცობაც ეგ არის. არც ერთი რქა არ გადატეხია, ისე მიუწყნარებია ეს ღრეობის, ჩხუბისა და დავიდარაბის არენა. ასეთ ადგილებს დინოზავრებივით აქა-იქ შემორჩენილი საქმოსნები მკვდარ „ობიექტებს“ უწოდებენ. რაც მართალია, მართალია, მათთვის ეს ადგილი მკვდარია.

სურათები რძის ნაწარმს და ცივ კერძებს ჭარბობს, მაგრამ ეს კაფე, სხვა საბავშვო კაფეებთან შედარებით, ყველაზე კარგად გამოიყურება.

— ყველაფერი გვაქვს, ბატონო, მაგრამ ყველაზე მთავარი გვაკლია — ბავშვები. თოჯინების თეატრში ან მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში თუ ვინმემ დააგვიანა, შეიძლება ჩვენთან შემოიაროს, თუ არადა, დიდები მაინც შემოდიან. არაჟანი, მაწონი, კომპოტი და კისელი — არც მათ აწყენთ. — ავტორიტეტული ტონით განაცხადა მებუფეტემ.

მერცხლებივით აჟღურტულდნენ ჩვენი ბავშვები და სადილობამდე კიდევ ერთი საუზმე ბუნების წიაღში — კაფე „მერცხალში“ მოინდომეს. აი, აქ კი იყო საჭირო წიქარას რქა, ჩარაზულ-ჩაკეტილი, ჩალუქული კაფე რომ გაგვეღო. გამარჯვების პარკში, კაფე „მერცხალის“ წინ, მოწყენილობას დაესადგურებინა, ამ „სიცხეში“ მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრენილიყვნენ. აქ წინათ „პურისმჭამელი“ ხალხი იყრიდა თავსო, ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ზოოპარკის ტერიტორიაზე, კავკასიური და თეთრი დათვების სადგომებს შუა, ფარდულია, სადაც ადრე, ჯერ კიდევ ზოოპარკის დაარსებიდან, სასაუზმე იყო. ფარდული იგივეა, მხოლოდ შეუღებავთ, საბავშვო სურათები გაუკრავთ და, რაც მთავარია, მენიუ შეუცვლიათ. ახლა ხაჭაპური, ხაჭო, კომპოტი და სოსისი იყიდება. კაფე ჩვეულებრივი კაფეებისაგან მხოლოდ საბავშვო სურათებით განსხვავდება. მებუფეტე ჩვენს დანახვაზე დახლიდან გამოვიდა და აულაგებელი სუფრის დასუფთავებას შეუდგა. თან თავისთვის ბუზღუნებდა: დამლაგებელიც მე ვარ, ჭურჭლის მრეცხავიც და მებუფეტეცო.

ბავშვები ვერაფრით გავახარეთ, ვერც დავაინტერესეთ რამეთი და ახლა ფუნიკულიორის პლატოსაკენ გავსწიეთ. პლატოზე ერთ საბავშვო კაფეში ორი საბავშვო პავილიონი აღმოვაჩინეთ. პავილიონი № 1 და პავილიონი № 2. ათეული წლების წინ აქ ნაყინი, ლიმონათი და ხანდახან სოსისიც იყიდებოდა. ყველაფერი იგივე დარჩენილა, მხოლოდ პავილიონში ახლა რამდენიმე ნახატი და სიტყვა „საბავშვო“ იწონებს თავს.

ბავშვთა წელთან დაკავშირებით, „დიდი ცვლილება“ მომხდარა ფუნიკულიორის რესტორანში. პირველი სართულის ერთი დარბაზი ბავშვებისათვის დაუთმიათ, ხოლო იმავე სართულის ვერანდა — დიდებისათვის. აქეთ — ლიმონათი, იქით — ღვინო და შამპანური, აქეთ — არაჟანი, იქით — არაყი და კონიაკი, აქეთ მაწონი, იქით — მწვადი. სამზარეულო და ბუფეტი დიდ-პატარებისათვის ერთია. საბავშვო დარბაზში შესული ბავშვი ჯერ, არ უნახავთ. ფოტოსურათები, ნახატები, სკამები და მაგიდები, ბავშვებს რომ შეეფერებათ, ისეთია, ბავშვებს ელიან და ელიან! უსაზღვროა მათი მოლოდინი!

ს. გეჟანიძე.

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

მგლის სიკვდილი

(„წითელქუდას“ ახალი ვარიანტი)

პიონერთა ბანაკ „ტაშისკარის“ საველე თეატრის სცენაზე სულ ტაშისკვრითა და ოვაციებით მიდიოდა სპექტაკლ „წითელქუდას“ გენერალური რეპეტიცია.

ფიცარნაგზე გაავებული დაძრწოდა კბილებდაღრჭენილი მგელი. რუხი მოსასხამიდან გაბანჯგვლული თათები და კუდი მოუჩანდა, რაც მას უფრო შესაზარ სანახავს ხდიდა. ამას, პირველ რიგში, თვით წითელქუდა გრძნობდა.

— ბები, ეგ რა დიდი ხელები გქონია!? — დაიწრიპინა შიშნაკრავმა.

— ეგ იმიტომ, ჩემო ოროსანო, რომ კარგად მოგეხვიო, — მგელმა თათები წაუპოტინა, მაგრამ წითელქუდა თვალსა და ხელშუა გაუსხლტა.

— ბები, ეს რა დიდი ფეხები გქონია!?

— ეს იმიტომ, ჩემო ჩურჩუტო, რომ უკეთ ვირბინო, — დაიღმუვლა მგელმა და ნახტომისათვის მოემზადა, მაგრამ კუდზე ფეხი დაიდგა, წაიბორძიკა და ძირს ზღართანი მოადინა.

პირველმა წითელქუდამ იგრძნო, რომ მგელი აღარ გაინირა, მკვდარივით ეგდო.

— მიშველეთ!.. მგელი კვდება! — იქაურობა შესძრა მისმა კივილმა.

პიონერები მაშინვე სცენაზე აცვივდნენ და მომაკვდავს შემოეხვივნენ.

„ამ თვის ხელფასი აღებული მაქვს, სწორედ რომ დროა, ბანაკიდან თავი დავიძვრინო, — ფიქრობდა მგელი, — აბიტურიენტების მომზადებას კიდევაც მოვასწრებ... კარგია, უფროსები არ გვესწრებიან, ამ ტვინოებს იოლად გავაცუცურაკებ და ხვალვე თბილისში ამოვყოფ თავს... იმდენად ჩერჩეტები არიან ,რომ კულტურული მგლის არსებობა სჯერათ...“

მგელი, ანუ დიომიდე შავსიაშვილი, ჭკუას საერთოდ არ აგულებდა მათ, მაგრამ მისი ბინა, უფრო სწორად სარეპეტიციო ოთახი, მუდამ სავსე იყო ბავშვებით. თუმცა მოსწავლეებს თავში არაფერი რჩებოდათ, სამაგიეროდ დიომიდეს ემატებოდა წონაშიც, ზომაშიც, სიგანეშიც და სიგრძეშიც... სუქდებოდა და ბოლო ხანებში ჰაერიც კი აღარ ჰყოფნიდა.

აი, ასე მოხვდა დიომიდე, ბავშვების მოსიყვარულე გულის წყალობით, პიონერთა ბანაკში უფროს პიონერხელმძღვანელად. მზე მოეკიდა, ჩამოთხელდა, სახე ჩამოუჭკნა, კენგურუს ჩანთასავით ეკიდა უკვე მომჩვარებული ღიპი, ახმახი და მკლავებგაბანჯგვლული, პირწავარდნილი მგელი იყო და სწორედ ამის გამო მოუწია სცენაზე გამოსვლამ (რამეთუ სხვა ვერაფერში ჰპოვა გამოყენება)...

— ისე, სიკვდილი ბევრად ერჩია, — ჩაილაპარაკა ვიღაცა ბიჭუნამ.

— რას ერჩი, სულდგმულია მაინც, — შეიბრალა გოგონამ.

— მეტისმეტად ყალბი მგელი იყო, სულ არ გააჩნდა სცენური ნიჭი.

— ჰო, გარეგნობით ახდენდა ეფექტს, ისე ვერაფერი შვილი იყო.

— სამაგიეროდ იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა, — გამოესარჩლა დიომიდეს ნაზხმიანი გოგონა.

— მაინც რაში შეატყვე!

როლი ცუდად ჰქონდა დასწავლილი, მაგრამ რრდი იბნეოდა, ჩმახავდა, რაც პირზე მოადგებოდა... ღმერთო ჩემო, რაები აკადრა წითელქუდას!

„თვალები რომ გავახილო, გაჩუმდებიან, მაგრამ მერე აქედან თავს ვეღარ დავიხსნი... დაე, ილაპარაკონ“, — გაიფიქრა დიომიდემ და იქვე იგრძნო, რომ პაწია ხელი შემოეჭდო მაჯაზე, მიხვდა, პულსს უსინჯავდნენ.

— ტვინის შერყევის სიმპტომებია, — თქვა გოგონამ და ქუთუთოები გადაუწია. — აი, ხედავთ, თვალის კაკლები შუბლქვეშ აქვს შებრუნებული, ალბათ, ცნობიერებაც დაკარგა დაცემისას, სახეზე გვაქვს რეტროგრადული ამნეზია.

დიომიდემ თვითონ წითელქუდას ხმა იცნო.

— აგერ ,ცივი ტილო გადააფარეთ თავზე, ადგილიდან ნუ დასძრავთ! — ბიჭს ჩახრინწული ხმა ჰქონდა.

—სასწრაფოდ გლუკოზაა საჭირო და მაგნეზიის ხსნარი...

— ჩუმად, ხმაურიც ძნელი ასატანია მისთვის.

— თუ მძიმე შერყევაა, იოლად ვერ წამოუდგება, ტრავმა მეხსიერებისა და საერთოდ შრომის უნარის დაქვეითებას იწვევს.

— ჯერ სულ არ იყო ძმარიო და...

„რაებს მიბედავენ?!“ — ბოლმა მოაწვა დიომიდეს და ზამბარასავით დაეკეცა შემომჭკნარი ღაბები, თავის წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. — „მართლა შერყევაა. რეტი... რეტროგრადული ამნისტიაა!“ — გაიფიქრა და გული შეუღონდა.

ელგუჯა მერაბიშვილი

დიალოგი

— ბავშვები გყავთ?

— ოთხი.

— არა, ძმაო, ვერ მიგიღებთ! ოთხი შვილის პატრონს ეს პატარა საწყობი რას გეყოფა?!

გიორგი დონდოლაძე

ლექსიკონი

ურიგო საქონელი — რიგში ჩადგომა რომ არ სჭირდება.

ღვინო — მძღოლის დამაძინებელი მტერი.

უთვისტომო — ვისაც თავისი წიგნი არ გამოუცია (არც ერთი ტომი).

ნ. იოსებიძე

ნაკვესები

● **ავტობუსის** მძღოლმა დაიკვეხა: ჩემს გაჩერებებზე უფრო ბევრი ხალხი დგას, ვიდრე ბიუროკრატის ძისაღებშიო.

● **დედამთილმა** ინატრა: ნეტავ, მეც ისეთი სიამტკბილობით ვიყო ჩემს რძალთან, როგორც ზოგიერთი ავტოინსპექტორი არის მძღოლებთანო.

● **მეძრთამეს** ფულის აღების საუკეთესო მომენტად თავისი დაბადების დღე მიაჩნდა.

გივი კილაძე

ნახ. ვ. კუციასი



ჰიდაოგა ქართული და... კლასიკური

ნახ. გ. ფირცხალავასი



— კაცო, ჩვენმა შვილიშვილმა ფეხი აიდგა!
— ხელი არ გაუშვა, დედაკაცო, ეგეც ქალაქში არ გაგვექცეს!

მოყვრად მოსული დუშმანი

დიდებული ჰიმალაის მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალების ზღაპრული სილამაზე ყოველ წელს ათასობით ტურისტსა და ალპინისტს იწვევს ნეპალში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრები ნეპალის მოსახლეობას მაინცდამაინც არ ეპიტნავება (მიუხედავად ტრადიციული სტუმართმოყვარეობისა). საქმე კი იმაში გახლავთ, რომ ჩამოსულნი ვერ იქცევიან ისე, როგორც სტუმარს შეეფერება, — პატივისცემით არ ეპყრობიან ქვეყანას, მის ისტორიულ ძეგლებს, მის ადათებსა და ჩვეულებებს.

სწორედ ეს განაცხადა იუნესკოში კატმანდუს უნივერსიტეტის პროფესორმა ქამალ ქ. შრესტჰამ. მოხსენებაში პროფესორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტურისტულ ბილიკებსა თუ ალპინისტურ მარშრუტებზე მიმოფანტულია ათასგვარი ნაგავი და ნაყარნუყარი, — შუშის ნამსხვრევები, პლასტმასის ჭურჭელი, დამსხვრეული აღჭურვილობა (ეს ალბათ იმიტომ, რომ მომდევნო ჯგუფებს გზის გაკვლევა გაუადვილდეთ!). მთავარი ტურისტული ტრასა გაჭიმულია ასეულობით კილომეტრზე, იგი მიემართება კატმანდუდან ნამჰე-ბაზარში, შერპთა უდიდეს დასახლებაში. დოქტორ შრესტჰას ცნობით, ეს გზა კი არა, ნაგვის ფართო ზოლია. ამას ემატება ულმობელი სტატისტიკა — კოცონებისათვის ყოველწლიურად გაჩეხილი 800 ტონა ხე-ტყე, კემპინგების ალაგას ერთიანად გადათელილი და გაჩანაგებული მცენარეულობა, გადათხრილი მთის ფერდობები, რაც, ადგილობრივ ფლორის განადგურებასთან ერთად, რელიეფის სტაბილურობასაც ემუქრება, იწვევს ქანების შლას და ალაგ-ალაგ მეწყერებს.

აი, სტუმრობაც ამას ჰქვია! „მოყვრად მოსული მტერი დუშმანზე ასჯერ უარესიაო!“ — ამბობს ძველი ნეპალური ანდაზა. თანამედროვე, ცივილიზებული ტურისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ დაამტკიცონ ეს უძველესი სიბრძნე.

ზ. ვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიწი და [illegible]

ბავშვობიდან ნიჭიერი,
„ოქრო ბიჭი“ ერქვა კიწის,
ერთხელ, როცა გასართობად
წააწყვიტა თავი წიწილს,

გაუცინეს, მოეფერნენ,
განა მისცეს სასჯელს მძიმეს?!
„ბავშვიაო, არ იცისო!“ —
აპატიეს... შეარჩინეს.

ზოგ-ზოგ კლასში ორჯერ ჩარჩა —
„დაუჩაგრეს“ მამას ბიჭი.
კიწი რაკი მოიზარდა,
სხვა რამეშიც სცადა ნიჭი:

ორღობეში, მთვარიანში,
გადაუდგა თურმე თინას,
შემოაჭრა ნაწნავები,
სულ თავბედი აწყევლინა.

აპატიეს...
როგორც იქნა,
დაამთავრა ათი კლასი,
იმავ ზაფხულს გაიკითხა
ტყემლისა და ვაშლის ფასი.

თვითმფრინავით სურდა წასვლა
რუსეთს! განა „ვილისითა“?
მაგრამ ჯიბეცარიელი
დააბრუნეს თბილისიდან.

აპატიეს...
როცა ერთხელ
ჩაამტვრია კლუბში მინა.
აპატიეს...
როცა ერთ კაცს
ცხვირით მიწა ახვნევინა...

სამსახურში მოაწყვეს და
კვლავ წაიგდო საქმე წინა, —
ოცდაათი ასიანი
უგზო-უკვლოდ გააფრინა.

კვლავ წამოდგა მამამისი:
„აბა, ეს რა ფულიაო!
ასე მღვდელსაც შეეშლება
ერთი ალილუიაო!“

აპატიეს...
მოახერხეს —
დაუფარეს კიწის ვალი,
მიაძინეს სამართალი,
აუხვიეს ორივ თვალი...

მაგრამ კიწიმ სხვისი ქისა
სანამ უნდა ანიავოს?
თქმულა:
„ცხვარი ცხვარია და
თუ გაცხარდა — ცხარიაო!..“

ჰოდა, ერთხელ სამართალი
განრისხდა და გაიბრძოლა:
კიწიმ ფეხი წამოკრა და...
მამამისიც გაიყოლა.

ნუგზარ აფხაზავა

საჩივართა იუბილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებაში ჩვენი ყოფა იმგვარი უნდა იყოს, რომ ვინმემ საჩივარი არ დაგვიწეროს. ამას რა სჯობია, თუკი ხელს არ შეგვიშლის ზოგიერთი ადამიანი, რომლის ყოველდღიურ საქმიანობაში ჭეშმარიტების დაცვა შედის, მაგრამ უკუქმედებას მიმართავს. თავისი და სხვათა ინტერესების გამო აფუძნებს კონსერვატიულ წესებს, აბუჩად იგდებს „შრომელთა გულისტკივილს, რაც იწვევს განცხადების ცნების გაუცხოებას. არაობიექტურობით გაწბილებული მომჩივანი კი წერს და წერს. ასეთი ატაცება ხანდახან თხუთმეტი-ოცი წელი გრძელდება და მხოლოდ უწყებათა თაროებს ამძიმებს, აბა, სხვა რა შეუძლია?!

ანექსიამდე

როგორც ჩანს, „ღვაწლმოსილ“ საჩივრებს იუბილეების გადახდა თუ უშველის!

ჭეშმარიტად რომ იუბილეს ღირსია ქ. ქუთაისში, ძერჟინსკის ქ. № 8-ში მცხოვრები **ვლ. მიხაილოვის** განცხადება, რომელსაც ასპარეზზე გასვლის ოცი წელი შეუსრულდა და დღენიადაგ ამას გაიძახის: დიდი ხნიდან მიხაილოვის ერთი მეტრი და ოცი სანტიმეტრი სიგანისა და ოცდახუთი მეტრი სიგრძის მიწა ქუთაისის საქალაქო აღმასკომმა 1958 წელს **ო. პ. მესხორაძეს** უკანონოდ მისცა, რის გამოც **ვლ. მიხაილოვს** მოესპო მზის სხივთა ციალიც და საკუთარი სახლის სადრენაჟო კომუნიკაციებით სარგებლობის საშუალებაც.

განცხადების იუბილესთან დაკავშირებით, მესხორაძეები მიხაილოვების ფანჯრებს ქვის სროლით ესალმებიან, რაც საინტერესო სანახაობად იქცევა ხოლმე მეზობელთათვის.

საიუბილეო დღეებში სასაჩივრო ხელოვნებაზე ისაუბრეს აღმასკომის თანამშრომელმა ა. შამალაძემ, საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა: თამბაგარმა, ფურცხვანიძემ, სახანძრო რაზმელმა ჯანჯალიამ და ქუთაისის მთავარმა ეპიდემიოლოგმა სალუქვაძემ. მათ დაადგინეს, რომ **მესხორაძე** მიწის მიმთვისებელია და თავისი ტყვიაგაუმტარი ლითონის გალავნით ჩრდილს აყენებს მიხაილოვის ფანჯრებს (იხ. ფოტოები!).

იუბილარის დასკვნით საღამოზე წაიკითხეს ქუთაისის პროკურატურის მილოცვები, მიმართვები, რეცენზიები, სადაც მკვეთრად გამოისახა მესხორაძის მიწამჭამელობის უგემოვნო დეტალები და სამეზობლო საზღვრების უხეში დარღვევა.

ოცი წლის მანძილზე ქუთაისის აღმასკომი მესხორაძეს ელოლიავება, იქნება თავისი სურვილით დააბრუნოს მიწაო! მაგრამ ამაოდ, იგი აგრესიულია და მასთან „მშვიდობიანი“ მოლაპარაკებით არაფერი გამოდის.

იუბილარი განცხადება ცამდე მართალია, მაგრამ კაცი არაა ქუთაისში, რომ სიტყვა საქმედ აქციოს, ე. ი. მიხაილოვებს მიწა დაუბრუნოს.

მიხაილოვს განცხადებების წერის ოცი წლის მანძილზე საქალაქო აღმასკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. განცხადება - საჩივარი ჯერჯერობით ფრთების გაშლის ხანაშია და მას დიდი შემოქმედებითი წარმატებები ელის. იმედია, „ნიანგი“ მისი ორმოცდაათი წლის იუბილესაც დაესწრება და უფრო ფართოდ გააშუქ-გამოამზეურებს.

ქუთაისური საჩივრების საიუბილეო კომიტეტი მხოლოდ მიხაილოვების განცხადებებით კი არ იფარგლება. მას გადაწყვეტილი აქვს, ახლო მომავალში დაწერიდან ათი წლის იუბილე გადაუხადოს ჩელუსკინელთა ქ. № 34-ში მცხოვრებ გრიგოლ ქობულაძის განცხადებას, სადაც აღწერილია გ. ქობულაძის და მისი ყოფილი მეუღლის ქეთევან გიორგაძის გაყრა, რასაც მოჰყოლია მათი საცხოვრებელი სახლისა და 5308 კვადრატული მეტრი საეზოვე მიწის გაყოფის რიტუალები.

ოფიციალური გაყრიდან უკვე ექვსი წელი გავიდა და აღმასრულებელმა მოსაშვილმა ყოფილ ცოლ-ქმარს ვერა და ვერ გაუყო საკარმიდამო. იქნება იმიტომ, რომ ქ. გიორგაძე სასამართლოს დამლაგებელია და მისი ეხათრება?!

ქ. წულუკიძიდან მოსულ ანონიმურ წერილს ავტორმა აქედანვე უნდა იცოდეს, რომ მისი საჩივრის იუბილე არ შედგება, რადგანაც მისი ნაწარმოების გმირები დადაში ჩიქოვანი (სოფ. გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი) და მისი პირადი მდივანი დასჯილნი არიან.

ანექსიის შემდეგ

რა დასამალია და, საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს ამგვარი საიუბილეო კომიტეტები, რომლებიც უანგარო და ანგარებით შრომას ეწევიან მომჩივანთა შორის. საიუბილეო კომიტეტებს შევახსენებთ, არ გამორჩეთ საჩივართა უპასუხობის დღესასწაულები!

მ. მიხეილიძე,
ა. ავთანდილაძე.

ნახ. ბ. დეისაძისა

„...და უკუეთე მარჯუენე ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს მარცხენა (ლევი)“.

„ამხანაგი“

ზოგ-ზოგი ნამდვილად გამაგიჟებს,
თითქოს ერთ ენაზე ვლაპარაკობთ,
ერთ დროს დავიბადეთ, დავიზარდეთ,
ერთურთს ვერ ვუგებთ და... ვამხანაგობთ!

ქუჩაში თუ შეგხვდა — შეგაჩერებს,
გკითხავს: „საითა ხარ, ამხანაგო?!“
ეტყვი: „იქეთა ვარ!“ — თავს აიწევს,
ცდილობს, თავისი რამ დაგახარბოს.

ჩაივლის — ჩაივლი... დროს გაჰყვები,
ჰგონია — კაცად სთვლი — სათამაშოს...
ოდესღაც შეგხვდება, ისევ გკითხავს:
„საით დამეკარგე, ამხანაგო?!“

ჩაივლის — ჩაივლი... დროს გაჰყვება...
წლებს მისდევს — თავისად სათაყვანოს...
იცვლება მოვლენა, ძირს აგდებენ,
იმასთან აღარავინ ამხანაგობს!...

ჩაივლი... ვიღაცა დაგიძახებს:
„ერთ წუთას — ძმაო და ამხანაგო!“
მოხედავ — შორსაა... ვერ გეწევა...
ეჰ, ვინ ვისთან როდის ამხანაგობს!..

მირანგულ ავსაჯანიშვილი

ფერიწლი ქიბ სევს

„სერ!

ღალატია, ღალატი! და ისიც სად? თეთრ სახლში, პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტში! ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ჯ. კარტერი, ს. ვენსი და ჰ. ბრაუნი მოსკოვის აგენტები არიან და ვენაში ხელმოწერილი ხელშეკრულების ძალით ეხმარებიან კომუნისტებს აგრესიული გეგმების განხორციელებაში?

დღეს მივიღე გელჰარის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გამოკითხვის ფურცელი. მათ სურთ გაიგონ, თუ რას ვფიქრობ მე „რუსების ცდაზე, დაიპყრონ აფრიკის ნაწილი“. რას უნდა ვფიქრობდე? მე ვუპასუხე, რომ საჭიროა აღვადგინოთ „შეერთებული შტატების სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით“, ასე არ არის? ამის შესახებ ხომ ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში!

მაგრამ რუსები მხოლოდ აფრიკას რომ დასჯერდებოდნენ, რა გვიშავს. ეს კარგად იცის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველმა ბერტმა, რომელიც გვაფრთხილებს, რომ „რუსები ამზადებენ ამერიკელთა რაკეტების მოულოდნელ ნოკაუტირებას“.

ან ავიღოთ ევროპა. განა თქვენ არ იცით, რა მდგომარეობა შეიქმნა აქ? მაშინ მოუსმინეთ ბელგიელ გენერალ კლოზს: „რუსები მზად არიან წამოიწყონ მოულოდნელი თავდასხმა დასავლეთ ევროპაზე და 48 საათში გადალახონ რაინი“.

მოსკოვი არც საბრალო იაპონელებს ინდობს. ხალხს, რომელიც ჩვენ ასე ვავაბედნიერეთ 1945 წელს ხიროსიმასა და ნაგასაკაში, ახლა დაპყრობით ემუქრებიან. წაიკითხეთ თუნდაც ტოკიოში გამოცემული წიგნი „რუსები გადმოსხდნენ“: „80-იანი წლების დასაწყისში საბჭოეთი მოახდენს იაპონიის ოკუპაციას“.

ახლა ამას დაუმატეთ რუსებისა და კუბელების მიერ ნიკარაგუაში საბრალო სამოსას წინააღმდეგ წამოწყებული აჯანყება და თქვენთვის ნათელი გახდება მოსკოვის გლობალური აგრესიის ხასიათი. ნუთუ თქვენ ყოველივე ამას ვერ ხედავთ? ნუთუ ფორესტოლია*) საჭირო, რომ ამერიკის ქალაქების ქუჩებში საბჭოთა ტანკები შევნიშნოთ?

ასეთ ვითარებაში საჭიროა, ვიმოქმედოთ სწრაფად და ენერგიულად: კარტერს — იმპიჩმენტი, ვენს — გაზის კამერა, ბრაუნს — სამხედრო ტრიბუნალი. პრეზიდენტი უნდა გახდეს ჰენრი ჯექსონი, ვიცე — ბარი გოლდუოტერი. თეთრი სახლი ყვითლად უნდა გადაეღებოთ და მის ფასადზე ფორესტოლის (შეიძლება მაკარიტის) პორტრეტი გამოვკიდოთ. როგორც ცნობილია, ყვითელი ადვილად გადადის ყავისფერში, ხოლო მაკარტი ულვაშების გარეშეც არაფრით ჩამოუვარდებოდა ფიურერს.

ასეთია ჩემი მოსაზრებანი, რომლებმაც ამერიკა დაღუპვისაგან უნდა იხსნას.

ღრმა პატივისცემით

მუდამ თქვენი

იანკი დუდლი“.

წერილში მოტანილი ციტატების დედანთან სისწორეს ვადასტურებ **ედუარდ მენაბდე.**

---

*) ფორესტოლი — ამერიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი; ყველგან საბჭოთა ტანკები ეჩვენებოდა, გაგიჟდა და ცათამბჯენის სარკმლიდან გადაეშვა.

ნახ. მ. აბაშიძისა

600
24.IX.79

უსიტყვოდ

დაბეჭდილის კვალდაკვალ

„მოგზაურობა მომსახურებაში“ — ასეთი სათაურით ჟურნალ „ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები **ახალციხის რაიონის** სავაჭრო ობიექტებში.

საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ქაჯაიამ რედაქციას შეატყობინა, რომ წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. ქალაქვაჭრობის დირექტორს **რ. სანდრუსოვს** და რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს **ე. მოსეშვილს** სავაჭრო ობიექტებზე კონტროლის მოდუნებისათვის დაედოთ პარტიული სასჯელები.

ასევე დაისაჯნენ რაიუნივერმაღის გამგე ა. **გელაშვილი**, სექციონერები **ვ.ივანიძე, ბ. სარქისიანი, მ. მჰედლიძე.**

ბიურომ დასახა რიგი ღონისძიებანი ახალციხის რაიონის სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

აგრეთვე დაისვა საკითხი ა/კ რკინიგზის სამმართველოს წინაშე — ვალე-თბილისის მატარებელზე მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე.

* * *

„ბარათები ნიანგს“ — ამ სათაურით ჟურნალის მე-6 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა ეხებოდა **ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის** აბანოს მშენებლობის გაჭიანურების ფაქტს.

ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. კაპანაძემ რედაქციას მოსწერა, რომ სოფელ ცოდნის აბანოს აშენებს ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, მშენებლობა გაჭიანურდა სამშენებლო მასალების უქონლობის გამო.

რაისაბჭოს აღმასკომმა კოლმეურნეობას აბანოს მშენებლობისათვის გამოუყო სამშენებლო მასალა. მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ზაურ გოლეგაძე** სარედაქციო კოლეგია: **ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა, ო. ჰელიძე**
● ტექნიკური რედაქტორი **მ. კუხალაშვილი**, ● **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“**. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/VII 79წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის
№ 14. ● შეკვ. 2014. უე 00791. ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ვ. კუკული, ვ. აბაშიძე, ი. ყიფიანი, ა. ერაძე, ბ. დეისაძე, ბ. ლომაძე, მ. ბჟილაძე, ი. ელისაშვილი.

300 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება მსოფლიოს კამალებული შეიარაღება.

ვის შველის ბანგი?

76187

იაპონელ მეცნიერებს უნდა უმადლოდნენ ის ადამიანები, რომელთაც ღამე ძილი გაუკრთებათ ხოლმე და თვალზე ფული არ ეკიდებათ. ეს ხშირად სულაც ნერვების ბრალია, და ამიტომ იაპონელმა მედიცინის მუშაკებმა დაადგინეს, რომ ათასგვარი და ნაირ-ნაირი ძილის მომგვრელი ტაბლეტების ნაცვლად, სჯობია ოთახში შეაფრქვიონ სპეციალურად მომზადებული ბანგი. ახალი პრეპარატი უკვე გამოჩნდა აფთიაქებისა და მაღაზიების თაროებზე აეროზოლის პულვერიზატორებში ჩატუმბული და შესანიშნავი ძილის მომგვრელი რეკლამით დამშვენებული. დააჭერს თითს ღილაკს პაციენტი და მაშინვე გაეხვევა ძილ-ბურანში, სამი წუთის შემდეგ ტკბილად, ღრმად ჩაეძინება.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლება გამოღვიძება არ იყოს ჩაძინებისავით ტკბილი... თუ ეს პრეპარატი ქურდებს ჩაუვარდებათ ხელში... „რაც არ არის გამორიცხული" — დასძენს ერთ-ერთი იაპონური გაზეთი.

უდაბნო რომ გაუდაბურდეს?

ამ ბოლო ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, შტატ არიზონას უდაბნოს სპეციალური მცველები დაუყენეს, ფორმით, ხელკეტით და, თუ გნებავთ, იარაღით აღჭურვილი ბრიგადები. არა, არ გეგონოთ, რომ არიზონაში ოქროს საბადოები აღმოჩნდა, ან ნავთმა ამოხეთქა! უდაბნოს წვრილფეხა ქურდებისა და გამვლელ-გამომვლელებისაგან იცავენ. ეს არის და ეს. მერედა, რა აქვს უდაბნოს დასაცავიო? იკითხავს ზოგიერთი. საქმე იმაშია, რომ ამერიკელები მოდის მიმყოლი ხალხია. ამ ბოლო დროს კი მოდაში შემოვიდა . კაქტუსი. თქვენ თიხის ქოთნებში ჩადგმული პატარა კაქტუსები არ გეგონოთ. როგორ გეყადრებათ! აქ ლაპარაკია თორმეტმეტრიან კაქტუსის ხეებზე. აბა, ის რა ოჯახია, თუ ჰოლში ან სასტუმრო ოთახში 8-10-მეტრიანი კაქტუსი მაინც არაა გაბარჯღული! ამიტომ ამ მოდის თაყვანისმცემელნი დიდ მანძილებსა თუ სიძნელეებს აღარ ერიდებიან, მიდიან არიზონაში და უწყალოდ ძირკვავენ უდაბნოთა მშვენებას — გოლიათ კაქტუსებს. სპეციალისტთა აზრით, მცენარეთა თითქმის 2/3 უკვე განადგურებულია, რაც სერიოზულად დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას.

ისე რომ, უდაბნოს გაუდაბურება ემუქრება!
რას იზამთ, მოდა — მოდაა!

გარი გოლდენი

რაზომ არ ვეჩხუბები ოფიციანტ ქალებს

მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ საჩივრები უწერონ ოფიციანტ ქალებს, მით უმეტეს, აუტეხონ ჩხუბი და დავიდარაბა. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს ვაუკაცს არ ეკადრებაო, მაგრამ საქმე „კადრებაში" არ გახლავთ. მე ვიცი, რომ სამყაროში ჩვენი მზისნაირი მინიმუმ ოთხი მილიარდი მზე არსებობს. თანაც ეს მხოლოდ ჩვენს ირმის ნახტომში! ეს კი, მოგეხსენებათ, მთელი სამყაროს მცირე ნაწილია. მზეთა დიდი რაოდენობა ჩვენგან მილიონობით სინათლის წელიწადის მანძილზეა დაშორებული. ყოველ მათგანს აქვს თავისი პლანეტები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან ჩვენს ქებულ დედამიწას და ყველა თავისი ღერძის გარშემო ციბრუტივით ტრიალებს. ახლა გიგანტი მზეები?! პირდაპირ შეგზარავთ იმის წარმოდგენა, რა გოლიათები არიან! ჩვენ კი ჩვენი პატარა მზით, პაწაწკინტელა პლანეტებით, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ნამცეცა დედამიწით მიჭუჭყული ვართ სადღაც გალაქტიკის ერთ კუთხეში, თითქმის ქალაქგარეთ... უკაცრავად, გალაქტიკის გარეთ... დიახ, და ამ მიყრუებულ კოსმიურ პროვინციაში მაინც რამდენი რამ ხდება! პლანეტები დაცურავენ თავის ორბიტაზე, მზე ხან ლაქებით დაიფარება, ხან გადაიწმენდავს სახეს, მთვარე ჩვენს ირგვლივ მოძრაობს...

ამის წარმოდგენაზე გაგიუება შეიძლება! მაგრამ ჯერ სადა ხართ! ტელესკოპებს მიკრული მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ არსებობენ კიდევ სხვა უამრავი გალაქტიკები! გალაქტიკათა მთელი ჯუნგლები!

ყველაფერ ამის შემდეგ ღირს რაღაც სულელური ამბის გამო ნერვების მოშლა?! კერძოდ იმისათვის, რომ ოფიციანტმა ქალმა შეკვეთილი ბიფშტექსის ნაცვლად ლანგეტი მოგიტანათ!

ინგლისურიდან თარგმნა
ზ. ბემაზაშვილმა.